საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის

ბრძანება №258
2014 წლის 31 მარტი

ქ. თბილისი

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის N993 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე–4 პუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტისა და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის N337 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვბრძანებ:

მუხლი 1

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის N993 ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 31/12/2013, სარეგისტრაციო კოდი - 140030000.22.034.016244) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

   „მუხლი 3. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.“.

2. მე-4 მუხლი ამოღებულ იქნეს.

3. პირველი მუხლით დამტკიცებული დებულების მე-9 მუხლის:

   ა) პირველი პუნქტის ,,პ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

   ბ) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

   „2. ამ მუხლის „ზ“, „თ“, „ი“, „კ“, „ლ“, „მ“, „ნ“ და „ო“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სტრუქტურული ერთეულები წარმოადგენენ დეპარტამენტის რეგიონულ დანაყოფებს.“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2014 წლის 30 მარტიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

შინაგან საქმეთა მინისტრი **ალექსანდრე ჭიკაიძე**